ფეთო

რელიგიურ ფარდას ამოფარებული ტერორისტული დაჯგუფება

ფეთო

რელიგიურ ფარდას ამოფარებული ტერორისტული დაჯგუფება

DIYANET İŞLERİ BAŞKANLIĞI

რელიგიურ საქმეთა სამმართველოს გამომცემლობა: 1694

სახალხო წიგნები: 410

კოორდინაცია
რელიგიური პუბლიკაციების გენერალური სამმართველო

შეადგინა
რელიგიურ საქმეთა უმაღლესი საბჭო
რელიგიური სამსახურის გენერალური სამმართველო

ნაშრომის განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება:
12.11.2019/121

ISBN: 978-605-7730-87-9
2019-34-Y-0003-1694
სერტიფიკატის №: 12930

1-ლი გამოცემა, İSTANBUL - 2019

გამოცემა
İleri Basım Matbaacılık A.Ş.
B. Evler Mah. F.Çakmak 2 Cad. Güzelşehir Sit. 22 Villa No: 1 ANP/22
B.Çekmece / İSTANBUL
Tel: +90 212 454 35 10
Sertifika no: 41157

© თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

საკონტაქტო ინფორმაცია
რელიგიური პუბლიკაციების გენერალური სამმართველო
უცხო ენასა და დიალექტებზე საგამომცემლო სამმართველო
Dini Yayınlar Genel Müdürlüğü
Yabancı Dil ve Lehçelerde Yayınlar Daire Başkanlığı
Üniversiteler Mah. Dumlupınar Bulvarı
No:147/A 06800 Çankaya/Ankara/TÜRKİYE
ტელ: +90 312 295 72 81
ფაქსი: +90 312 284 72 88
e-posta: yabancidiller@diyanet.gov.tr

გარეგნულად ეს
ორგანიზაცია რელიგიურ
ქველმოქმედებას
ეწეოდა, მაგრამ
სინამდვილეში
მისი ფარული სახე
პოლიტიკურ,
იდეოლოგიურ და
ეკონომიკურ
მიზნებში ვლინდებოდა.
ამავდროულად
ის არის
,,ტერორისტული
ორგანიზაცია“,
რომელიც 15 ივლისის
მოვლენებით
სააშკარაოზე გამოვიდა.

15 ივლისის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, ღვთის ნებით, მმართველი გუნდის მცდელობითა და ჩვენი ერის გამბედაობის შედეგად თავიდან ავიცილეთ და მთელმა მსოფლიომ რელიგიური ექსპლოატაციის შაგბნელი სახე დაინახა. „ფეთო“-ს მიერ წარმოებული იდეოლოგია რელიგიის სახელით მოქმედებდა და ყოველგვარი სულიერი თუ მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით ისლამს იყენებდა. მათი სამიზნე ჩვენი სახელმწიფო იყო და მათ, ყოველგვარი რწმენისა და ღირებულებების უგულებელყოფის გზით საკუთარ ხალხს ცეცხლი გაუსნეს. ამ ორგანიზაციამ ჩვენი მოქალაქეები ღმერთის სახელით შეცდომაში შეიყვანა.

წინამდებარე ნაშრომი „ფეთო“-ს ორგანიზაციის სტრუქტურის მიმოხილვასა და რელიგიური ექსპლუატაციის გამოვლინებას ისახავს მიზნად, რომელმაც ისლამის რწმენის, ღვთისმსახურებისა და ზნეობის პრინციპები უგულებელყო. 15 ივლისის ღამე დიდი გაკვეთილი იყო, რომელმაც საკმაოდ ღრმა კვალი დატოვა და ასევე დაგვაკისრა დიდი პასუხიმგებლობა, რათა სიფრთხილე და გონივრულობა გამოვიჩინოთ.

რა არის რელიგიური ექსპლუატაცია?

ამ შემთხვევაში ექსპლუატაცია ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ნდობის ბოროტად გამოყენებას, შეცდომაში შეყვანას და მათი უფლებების დარღვევას ნიშნავს. რელიგიური ექსპლუატაცია კი რელიგიური ნიშნით ადამიანთა შეცდომაში შეყვანას და ამ გზით მატერიალური და სულიერი სარგებელის მიღებას ნიშნავს.

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ბევრი ადამიანი თუ ადამიანთა ჯგუფი რელიგიას, როგორც ხალხზე ზემოქმედების ეფექტურ საშუალებას იყენებდა და ამ გზით კონკრეტული მიზნის მიღწევას ცდილობდა. ეს ადამიანები თუ ადამიანთა ჯგუფები აიათებსაც და ჰადისებსაც განსხვავებული შინაარსით წარმოაჩენდნენ და ამგვარი მცდარი განმარტებების გზით თავიანთი მიზნების მიღწევას ცდილობდნენ. ამ ჯგუფებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც რელიგიის დაკნინება სურდათ. ისინი ისლამის გზაგნილის გადაკეთებას და მისი დედააზრის გაუბრალოებას ცდილობდნენ.

ღვთის ელჩი მუჰამმედი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როდესაც კონკრეტული ჯგუფის მიერ მედინაში მისი სახელობის მეჩეთის ალტერნატივის აშენება გადაწყდა. ამის მიზანი მუსლიმებს შორის

განხეთქილების შეტანა და მათი ერთიანობის შერყევა იყო. ეს იყო სარწმუნოების წინააღმდეგ შეთქმულების კლასიკური მაგალითი. ისლამის ისტორიაში აღნიშნულ მეჩეთს „მესჯიდი დირარ“ ეწოდება. ყურანი კი ასე მოგვითხრობს:

„და რომელთაც დაიდგინეს სამლოცველო ზიანის მისაყენებლად და ურწმუნოების გასამყარებლად , და განხეთქილების შესატანად მორწმუნეებს შორის და საგუშაგოდ, ვინც იმთავიდანვე ბრძოლა გამოუცხადა ალლაჰსა და მის შუამავალს, უეჭველად, დაიფიცებენ: არაფერი გვინდოდა, გარდა სიკეთისა! თუმცაღა ალლაჰი მოწმობს, რომ ეგენი ნამდვილად ცრუნი არიან“ (თევბე 9/107)

ღმერთმა გააფრთხილა მუჰამმედი, რომ ეს მეჩეთი ბოროტი ზრახვებით იყო აშენებული და მას იქ არ უნდა ელოცა. ეს ასევე გაფრთხილებაა საიმისოდ, რომ ამგვარი მცდელობა ნებისმიერ დროს შეიძლება გამოვლინდეს. აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით ღვთის ელჩის, მუჰამმედის რეაქცია საკმაოდ მკაცრი იყო. ესეც კარგი მაგალითია საიმისოდ, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ყველა იმ მცდელობისა და გამოვლინების წინააღმდეგ, რომლებიც რელიგიის დაკნინებას ისახავს მიზნად.

ისლამის ისტორიაში ყოველი ფარისევლური გამოვლინება კონკრეტულ

წლების განმავლობაში ამბობდნენ, რომ სიკეთის მსახურნი იყვნენ, მაგრამ დღეს თითოეულმა ჩვენგანმა იცის, თუ ვინ არიან ისინი.

ტერმინში „მუნაფიქში“ აისახა, რომელიც თვალთმაქც მორწმუნეს გულისხმობს. შეთქმულების ლიდერი აბდულლაჰ ბ.უბეიბ. სელული იყო, რომელმაც სხვა მუნაფიქები შემოიკრიბა და მედინაში მმართველობის ხელში ჩაგდება განიზრახა. გარეგნულად ისინი მუსლიმებს ბაძავდნენ. ყველაფერს ისე ასრულებდნენ, როგორც მუსლიმები,

მაგრამ მათი ბნელი ზრახვების მისაღწევად ორპირობას, ღალატს, ცილისწამებას და სხვა მსგავს უზნეობას სჩადიოდნენ. ისინი მტერთან კავშირსაც არ ერიდებოდნენ და ფარულ შეთქმულებაში მტრის დახმარების იმედი ჰქონდათ. შეთქმულებმა მუჰამმედის მოკვლაც კი განიზრახეს და მშობლიური მიწებიც მტერთან ვაჭრობის საგანი გახადეს.

ბნელი ზრახვების
მიღწევის მიზნით
ყველა გზის
მისაღებად
ჩათვლა და
ამასთანავე
ადამიანთა რელიგიური
გრძნობების გამოყენება,
ზექათისა და
მოწყალების
მითვისება,
ადამიანებზე
შვილების წართმევა
და რელიგიური
ღირებულებების
უგულებელყოფა
არავითარ შემთხვევაში
არ შეიძლება
რელიგიურ
საქმიანობად შეფასდეს.

მათი მოქმედებებით ისინი არამარტო პოლიტიკურ არეულობას, არამედ რწმენისა და მორალის დეგრადაციას იწვევდნენ.

მუჰამმედის მოღვაწეობის შემდგომ პერიოდშიც იყო მცდელობები დაემხოთ ლეგიტიმური ხელისუფლება და ისლამის ერთიანობა შეერყიათ. ამგვარი მოვლენები, რომლებიც ამბოხებას, დაუმორჩილებლობასა და ანარქიის შექმნას უწყობდა ხელს, რელიგიასთან შეუსაბამო და მიუღებელია.

აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ არამარტო ყურანში, არამედ ჰადისებშიც არის კონკრეტული გზავნილები, რომელთა მიხედვითაც ისლამის ისტორიაში დაფიქსირებული ცალკეული პიროვნებებისა თუ ჯგუფების მიერ ისლამის ღირებულებების დაკნინების მცდელობა ხდებოდა. ეს იყო წარსულშიც და დღესაც გრძელდება. მრავალი პიროვნება თუ დაჯგუფება ისლამის სახელით მოქმედებს, ხოლო სინამდვილეში საკუთარი სარგებელის მიღებაზე ზრუნავს. რელიგიის სახელით მოქმედი ზოგიერთი ამბვარი დაჯგუფება სინამდვილეში მუსლიმთა რელიგიურ გრძნობებს იყენებს და მათი ნდობით ბოროტად სარგებლობს. ისინი ისლამის ძირითად პრინციპებს სათავისოდ განმარტავენ, იგონებენ ყალბ პრინციპებს და მორწმუნეთა ნდობას მზაკვრულად იყენებენ. საბოლოოდ კი ისინი მორწმუნეთა

ფულს, დროს, შვილებს და უფრო მეტიც, სიცოცხლესაც კი ხელყოფენ.

დღეისათვის ისლამის მიმდევრებისათვის რელიგიური ექსპლუატაცია სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. ის, როგორც წესი, ისლამის მიმდევრების ერთიანობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. ისლამის სახელით მოქმედი ორგანიზაციები, როგორებიცაა ფეთო, დეაში, ალ ქაიდა, ბოქო ჰარამი და სხვა, ყველაზე დიდ ზიანს სწორედ რომ მუსლიმებს, ჩვენს ერთიანობას, ჩვენს მომავალს აყენებენ.

„ფეთო“ რელიგიური საზოგადოებაა?

გარეგნულად ეს ორგანიზაცია რელიგიურ ქველმოქმედებას ეწეოდა, მაგრამ სინამდვილეში მისი ფარული სახე პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და ეკონომიკურ მიზნებში ვლინდებოდა. ამავდროულად ის არის „ტერორისტული ორგანიზაცია“, რომელიც 15 ივლისის მოვლენებით სააშკარაოზე გამოვიდა.

„ფეთო“ არ არის ის ორგანიზაცია, რომელიც რელიგიური ერთიანობის პრინციპზეა დაფუძნებული. ამასთანავე ის არც ის ორგანიზაციაა, რომელიც რელიგიურ სწავლებაში, მის სწორად გაგებასა და მისით სწორად ცხოვრებაში სათანადო წვლილი შეაქვს. ისინი თავიანთი

ზრახვების განსახორციელებლად ყველა ღონეს ხმარობდნენ, ადამიანთა რელიგიურ გრძნობებს სათავისოდ იყენებდნენ და მუსლიმი თემის ზექათს, მოწყალებას და მსხვერპლს იპარავდნენ. ამასთანავე ისინი ისლამის ძირითად ღირებულებებსაც უგულებელყოფდნენ. საბოლოოდ კი გაირკვა, რომ ის არა რელიგიური ორგანიზაცია, არამედ კონკრეტული მიზნის მქონე დაჯგუფება იყო.

ეს ორგანიზაცია ნამდვილი რელიგიური ერთობის მიღმა მოქმედებდა. ამ ორგანიზაციის წამომადგენლებს თავიანთი ლიდერის მიმართ გადაჭარბებული დამოკიდებულება გააჩნდათ. ისინი აცხადებდნენ, რომ კაცობრიობის გადარჩენის ერთადერთი იმედი მხოლოდ ეს დაჯგუფება იყო, რომლებიც თავიანთ თავს „ოქროს თაობას“ უწოდებდნენ. შესაბამისად ისინი ყველა გზასა და მეთოდს ლეგიტიმურად თვლიდნენ. საგამოცდო კითხვების მოპარვა, კოპირება, ქრთამი, ცილისწამება, ფარული მოსმენები, შანტაჟი და სხვა მსგავსი არალეგიტიმური და სინდისთან შეუსაბამო ქმედებები, სწორედ მათი ხელწერა იყო და ამითაც მტკიცდება, რომ ეს ორგანიზაცია რელიგიური არ იყო.

ეს ორგანიზაცია და მათი წევრები ამტკიცებდნენ, რომ ბოლო ჟამის პერიოდში უზნეობა დიდად იყო გავრცელებული და ამ

ანგარების
მიზნით
ჩვენი
სიწმინდეების
შებღალვის
მცდელობა
სარწმუნოებისა
და
სამშობლოს
მოყვარულ,
გულანთებულ
ადამიანებთან
ყოველთვის
დამარცხდება

ყველაფრის გამოსწორება და კაცობრიობის ხსნა მათზე იყო დავალებული. თურქეთში მოქმედი ეს ორგანიზაცია მიზნად ისახავდა სახელმწიფო სტრუქტურებში შეღწევას, მაღალი ბიუროკრატიის, ძალოვანი სტრუქტურებისა და არმიის ხელში ჩაგდებას, რასაც საბოლოო ჯამში სახელმწიფო მმართველობის მიტაცება მოჰყვებოდა.

სინამდვილეში ეს ორგანიზაცია სულაც არ იყო უნიკალური. წარსულიდან დღემდე მთელ მსოფლიოში მსგავსი ორგანიზაციების მოქმედება არც თუ ისე იშვიათია. ყველა ამ ორგანიზაციის საერთო თვისება შიდა იერარქიული სტრუქტურის თავისებურება და გარე დაფინანსებაზე დამოკიდებულებაა.

„ფეთოს“ ლიდერი შეიძლება იყოს მოძღვარი?

„ფეთოს“ ლიდერი მოაზროვნე ან სწავლული კი არა, გლობალური ძალების მიერ დაგეგმილი პროექტის ნაწილია. თავდაპირველად რელიგიური სწავლებითა და ქადაგებით გაითქვა სახელი, ხოლო შემდეგ კი თავისი სტატუსი რელიგიური ექსპლუატაციისთვის გამოიყენა. მიუხედავად იმისა,რომ ის წმინდა ყურანის, ჰადისებისა და ტრადიციული ისლამური ლიტერატურის ციტატებით საუბრობდა, რელიგიურ მოღვაწედ და სწავლულად მაინც არ ჩაითვლება, რადგან ამ უკანასკნელის შემთხვევაში ადამიანს გულწრფელი მიზნები და სამაგალითო ქცევები უნდა ახასიათებდეს. ისლამის მიხედვით ტყუილი, ცილისწამება, ორპირობა და სხვა მსგავსი ცოდვები „დიდ ცოდვებადაა“ მიჩნეული. შესაბამისად, რელიგიურ ლიდერს მსგავსი სახის ცოდვებთან საერთო არ უნდა ჰქონდეს. ყოველი ქმედება,რომელიც ისლამის რწმენის საფუძვლებთან და ძირითად პრინციპებთან შეუსაბამოა,მიუღებელი და დასაგმობია.

ამ ორგანიზაციის ლიდერის საქმიანობა კი ცხადყოფს,რომ საქმე გვაქვს განდიდები მანიასა და მოჩვენებით თავმდაბლობას ამოფარებულ ამპარტავნებასთან. საკუთარი თავის რჩეულად წარმოჩენა,რა თქმა უნდა,

მიუღებელია. მისი კონტროლის ქვეშ მყოფი ჯგუფის წევრები თითქოსდა გარესამყაროს მოწყვეტილნი იყვნენ და მათი აზროვნება და გრძნობები თავისუფალი არ იყო.

ამ ორგანიზაციის ლიდერის საუბრებსა და ნაწერებში რელიგიური თემა დომინირებს, თუმცა რელიგიური თემა დაჯგუფების მიზნების სასარგებლო ფორმითაა წარმოდგენილი. გარეგნულად მისი სიტყვები აჩვენებს, რომ თავდადებული მორწმუნე და განმანათლებელია, მაგრამ რეალობაში მისი ეს იმიჯი მოჩვენებითია. როგორც წესი, რელიგიური ჯგუფი საერთო რწმენასა და ერთიან ღირებულებებზე უნდა იყონ დამოკიდებულნი და არა ლიდერის ცოდნაზე, ნანახ სიზმრებსა და აღმოჩენებზე. ორგანიზაციის ლიდერი წევრების რეალურ განათლებას ხელს უშლიდა და მათში კრიტიკულ აზროვნებას გასაქანს არ აძლევდა.

როგორ წარმოიქმნა „ფეთო“?

ისლამურ ქვეყნებში ფეთოსა და სხვა მსგავსი დაჯგუფებების წარმოქმნას რამოდენიმე მიზეზი გააჩნია: ამ მიზეზებიდან ერთ ერთი უმთავრესი გარკვეული პერიოდის განმავლობაში რელიგიის მიმართ განხორციელებული ზეწოლა და ადამიანების ამ მიმართულებით გაუნათლებლობა წარმოადგენს. როდესაც

როდესაც საზოგადოებას
ტრადიციული,
ჭეშმარიტი
რელიგიური სწავლების
საშუალება არ აქვს და
ადამიანები სულიერ
მოთხოვნილებებს
ვერ იკმაყოფილებენ,
ისინი, როგორც წესი
რელიგიური
ექსპლუატაციის
მიმართულებით
მოწყვლად
მდგომარეობაში
აღმოჩნდებიან.

საზოგადოებას ტრადიციული, ჭეშმარიტი რელიგიური სწავლების საშუალება არ აქვს და ადამიანები სულიერ მოთხოვნილებებს ვერ იკმაყოფილებენ, ისინი, როგორც წესი რელიგიური ექსპლუატაციის მიმართულებით მოწყვლად მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

თურქეთის რესპუბლიკაში მოქმედი „იმამ ჰათიფის“ სკოლები და უნივერსიტეტებში არსებული თეოლოგიური ფაკულტეტები გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეფექტური არ იყო, ამიტომ ხალხის ის ნაწილი, რომელიც რელიგიური სწავლებით იყო დაინტერესებული,სწორედ რომ ამგვარი ორგანიზაციების მიერ შეთავაზებულ პირობებს დათანხმდა.

როდესაც ადამიანები ისლამის რწმენის, ღვთისმსახურებისა და ზნეობის საფუძვლების და ასევე სუნას მოძღვრების გარეშე რჩებიან და შესაბამის ცოდნას ვერ ღებულობენ, როგორც წესი, იქ ამგვარი ფსევდო-რელიგიური დაჯგუფებები ჩნდებიან. როდესაც სუნას სადა, გაწონასწორებული, ბრძნული და ჭეშმარიტი მოძღვრება ახალგაზრდებს არ მიეწოდებათ,მაშინ ასეთი მხსნელობისა და რჩეულობის პრეტენზიის მქონე ადამიანები გამოდიან არენაზე.

ასე მოხდა „ფეთოს“ შემთხვევაშიც. მათ ამგვარი ინფორმაციის ნაკლებობის პერიოდი სათავისოდ გამოიყენეს. გახსნეს სასულიერო სასწავლებლები და საქველმოქმედო



ჩვენ უნდა
ვუპატრონოთ
ანატოლიას,
რომელიც
საუკუნეების
განმავლობაში
ჩვენი სულიერი
ცხოვრების გარანტია.
ჩვენ სულიერი
ფასეულობები წინ
უნდა
წამოვწიოთ.
ჩვენ არ უნდა
დავუშვათ,
რომ ჩვენინ ერთობა
და ერთიანობა
დაირღვეს.

ფონდები და რელიგიური სწავლება ბიზნესის კათების საშუალებად გადააქციეს. რელიგიური სწავლების საფარქვეშ ამგვარი მოქმედება, გავლენების ანგარების მიზნით გამოყენება დიდი დანაშაულია. „ფეთო“ არამარტო თურქეთში, არამედ შუა აზიისა და აფრიკის ქვეყნებშიც მსგავსი მეთოდებით მოქმედებდა.

მეორეს მხრივ, წლების განმავლობაში, ორგანიზაციის მცდელობის შედეგად სახელმწიფო სტურქტურებში საკუთარი კადრების შეყვანა ხდებოდა.

როგორია „ფეთოს“ სტრუქტურა?

ფეთჰულლაჰის დაქვემდებარებაში მყოფი დაჯგუფების სტრუქტურა ორი ნაწილისაგან შედგება. ამგვარი გაყოფის მიზანი არის ის, რომ დაჯგუფების ბნელი მაქინაციები დაფარული იყოს და წინა პლანზე მხოლოდ და მხოლოდ სიკეთე და ქველმოქმედება ჩანდეს.

ამ განყოფილებებიდან ღია ნაწილს წარმოადგენს ის ყველაფერი, რაც ოფიციალურადაა დარეგისტრირებული. ესენია: სკოლები,სასულიერო სასწავლებლები, საქველმოქმედო ფონდები, პროფესიული სასწავლებლები, ბიზნეს სუბიექტები, მასმედიის საშუალებები და სხვა. მთელ ამ ორგანიზებულ საქმიანობას „მსახურებას“ უწოდებენ. დაჯგუფების საზოგადოებისათვის

ცნობილი მხარე ის ადამიანები არიან, რომლებიც ლიდერის მხრიდან შესაბამისად არიან აღზრდილნი და ამგვარად შექმნილია ადამიანური რესურსი. მეორეს მხრივ კი მიზნის მისაღწევად ყოველგვარი ბნელი მეთოდებია გამოყენებული.

რაც შეეხება დაჯგუფების „ფარულ ნაწილს“, აქ მკაცრად გასაიდუმლოებული იერარქიაა. იერარქიულ საფეხურებზე სვლა დამოკიდებულია განსაკუთრებულ უნარებზე. ამ დაჯგუფებამ მოახერხა და საკუთარი ადამიანური რესურსი შეიყვანა სახელმწიფო სტრუქტურებში, აკადემიურ წრეებში, ძალოვან სტრუქტურებსა და უსაფრთხოების სამსახურებშიც. დაჯგუფების იერარქიული პირამიდის თავში ლიდერი დგას და მას „სამყაროს იმამს“ უწოდებენ.

გარდა ვერტიკალური იერარქიისა დაჯგუფებას გააჩნია ჰორიზონტალური განშლაც და ამ სტრუქტურის წყალობით წევრების გაშიფრვის ალბათობა მინიმუმამდეა დაყვანილი. რამოდენიმე ადამიანისგან შემდგარ უმცირეს ჯგუფსაც კი თავისი ლიდერი ყავს და მასზეა დამოკიდებული.

ორგანიზაციის ფარული სტურქტურა წევრების პირადობების გადამალვასა და კოდური სახელებით სარგებლობასაც ითვალისწინებს. ამ ყველაფერს კი პრევენციის სახელით ამართლებენ.

ასევე გააჩნიათ დევიზი: „ყველგან უნდა ვიყოთ“. ამგვარი სტრუქტურის მქონე ორგანიზაციის მიზანი „პარალელური სახელმწიფო მმართველობის“ ჩამოყალიბება იყო, რაც საბოლოო ჯამში სახელმწიფო მმართველობის მიტაცებით დასრულდებოდა.

რა არის „ფეთოს“ ძირითადი მახასიათებლები?

რელიგიურ სფეროში მომუშავე ორგანიზაცია, რომელიც ყოველგვარი სახელმწიფო კონტროლისგან დახურულია და განსაკუთრებით მისი ფინანსები არ არის გამჭვირვალე, ბუნებრივია არალეგიტიმურ საქმიანობაში იყოს გარეული. „ფეთოს“ მახასიათებლები, რომლებსაც ახლა წარმოვიდგენთ, ნათლად ცხადყოფს, რომ ეს ორგანიზაცია რაიმე სანდო და პატივსაცემ საფუძველს არ ეყრდნობა.

ა) ორგანიზაციის სტრუქტურა „უჯრედული“ პრინციპით არის წარმოდგენილი. თითოეულ ასეთ მცირე ჯგუფს თავისი უფროსი ჰყავს, რომლებიც იმის მიხედვით არიან შერჩეულნი, თუ როგორი ავტორიტეტით სარგებლობენ ხალხში და რამდენად წარმოაჩენენ ორგანიზაციის უმანკო სახეს. ჯგუფების ლიდერები წევრებთან ურთიერთობისას სხვა და სხვა მამოტივირებელ ტერმინებს იყენებენ, მაგალითად აცხადებენ, რომ

წლების
განმავლობაში
ამ ორგანიზაციის
წევრს
შორის
გავრცელებულია
აზრი,
რომ მათი
ლიდერი
უშეცდომო და
რჩეული
ადამიანია.
არადა მხოლოდ
შუამავლები
არიან
ცოდვებისგან
დაცულნი.
ეს აზრი
ლიდერისადმი
უსიტყვო
მორჩილების
მიზნით
გავრცელდა.

ყველა ისინი „სამოთხის თაობა“ არიან. ასევე მოქმედებს დანაშაულში „თანამონაწილეობის“ პრინციპიც, რომელიც წევრების დაჯგუფებისადმი ერთგულებას და ხანგრძლივ დამოკიდებულებას უზრუნველყოფს.

ბ) დაჯგუფების წევრები ვალდებულნი არიან უყოყმანოდ შეასრულონ ყველა დავალება, რასაც ზევიდან მიიღებენ. დაუშვებელია კრიტიკული მიდგომა ან გაპროტესტება. მუსლიმთა რელიგიური ვალდებულება ღვთისადმი უსიტყვო მორჩილებაა, აქ კი ლიდერისადმი უსიტყვო მორჩილების პრინციპი მოქმედებს.

მორჩილების ეს ფორმა, რომელიც ამ ორგანიზაციის ხელწერას წარმოადგენს, უსიტყვო ერთგულებას გულისხმობს და ამ პროცესში ნაჩვენები მიზნისკენ სვლის დროს შეკითხვები არ უნდა დაისვას. ერთგულების დასამტკიცებლად საჭიროა:

1. თუ შენი სურვილის ან შეხედულების შესახებ გკითხეს, შეგიძლია დააფიქსირო, წინააღმდეგ შემთხვევაში უსიტყვოდ უნდა დამორჩილდე.

2. მიზნისკენ მსვლეობის პროცესში სამოთხეც რომ გაჩვენონ და გითხრან შეგიძლია შეხვიდეო, ვალდებული ხარ უთხრა: „არა, ჯერ უნდა შევუთანხმდე“.

3. ასევე მიზნისკენ მსვლელობის დროს ჯოჯოხეთისგან გადარჩენის შანსი რომ

გამოგიჩნდეს, ვალდებული ხარ უპასუხო: „არა, ჯოჯოხეთისგან თავის დაღწევა დიდი საქმეა, მაგრამ ჯერ უნდა შევუთანხმდე“.

ამგვარი მორჩილების შესაქმნელად დაჯგუფების თითოეული წევრის მიმართ სპეციალური მიდგომები ხორციელდებოდა. დაჯგუფების ყოველი წევრი თავის ცოდნასა და შესაძლებლობებს დაჯგუფების სასარგებლოდ იყენებდა. ზოგი მათგანი ამ გზაზე თავდადებული მოხალისე იყო, ზოგი- მოტყუებული, ზოგიც კიდე- დაპროგრამებული, საბოლოო ჯამში კი დაჯგუფების არსენალში დიდი ადამიანური რესურსი და ენერგია შეიკრიბა.

გ) ამ დაჯგუფების წევრებს შორის გავრცელებულია აზრი, რომ მათი ლიდერი რჩეულია, შეცდომებისგან დაცულია და მისი აზრი გაკრიტიკებას არ ექვემდებარება. ჩვენს სარწმუნოებაში, შუამავლებს გარდა, მსგავსი სტატუსი და პრივილეგია არავის გააჩნია. ცოდვებისგან დაცული არავინაა. ამგვარი რამ იმისათვის გაავრცელეს, რომ ადამიანები უსიტყვოდ დამორჩილებოდნენ. ისლამი ადამიანებს ანიჭებს თავისუფლებას და ადამიანის ადამიანისადმი მონობას კრძალავს. შესაბამისად ამგვარ დამოკიდებულებას ისლამთან კავშირი არ გააჩნია.

დ) ამ ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული „სინათლის სახლები“ ყოველ მუსლიმისთვის ხელმისაწვდომი არ არის. მათ

შეძლეს და ახალგაზრდები მეჩეთებიდან ამ სახლებში გადაიყვანეს, სადაც „რელიგიის გავრცელება“ ფარულად მიმდინარეობდა. ამის დაკავშირება ღვთის ელჩის, მუჰამმედის მოღვაწეობის იმ პერიოდთან, რომელიც მექას პერიოდითაა ცნობილი, დაუშვებელია, რადგან მუჰამმედი ფარულად ქადაგებდა ისლამის წარმოშობის პირველ წლებში, როცა ისლამის მიმართ წარმოუდგენელი აგრესია ვლინდებოდა. ამ ფარული ქადაგების დროს მუჰამმედი ყოველთვის სიმართლეს ამბობდა და არცერთი ისლამისთვის შეუსაბამო მეთოდი არ გამოუყენებია. მუჰამმედი არასოდეს არღვევდა სხვათა უფლებებს და უსამართლოდ არავის მოქცევია. ყველა დაჩაგრული და უსასოო ადამიანი მისი მფარველობის ქვეშ იკრიბებოდა და ნუგეშს იქ ჰპოვებდა.

ე) კიდევ ერთ განმავსხვავებელი და მიუღებელი ნიშანი, რომელიც ამ ორგანიზაციას ახასიათებს, არის ის, რომ ისინი საკუთარ თავს განსხვავებულად წარმოაჩენენ. ისინი ამბობენ, რომ მიზნის მისაღწევად ყველა გზა მისაღებია. ბუნებრივია მსგავსი მოქმედება იწვევს ისეთი არალეგიტიმური და რწმენასთან შეუსაბამო ქცევების გამოვლინებას, როგორიცაა ტყუილი, ცილისწამება, მოჩვენებითობა და სხვა. დაჯგუფების წევრები რეალურ მიზნებს მალავენ და ყოველთვის ფსევდო

მიზნებს დეკლარირებენ. სუნას მიხედვით მათი ამდაგვარი მიდგომა მხოლოდ ისეთ იშვიათ შემთხვევებშია მისაღები, როცა საქმე სიკვდილ-სიცოცხლეს ეხება. ომში მოწინააღმდეგის მოტყუებაც მისაღებია, რადგან ომია და მოწინააღმდეგე მტერია. მშვიდობის დროს, მითუმეტეს თანამორწმუნე მუსლიმების მოტყუება კი კატეგორიულად დაუშვებელია.

ვ) დაჯგუფება თავაზიანობის ნიღაბსაა ამოფარებული და სინამდვილეში მათი ლიდერი სიამაყითაა შეპყრობილი, ხოლო წევრები სხვა მუსლიმებს და სასულიერო სკოლებს უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებენ. ლიდერთან ერთად მთელი დაჯგუფების სტილი ამგვარ „კოლექტიურ სიამაყეში“ ვლინდება. ისინი არღვევენ პრინციპს, რომელიც მორწმუნეთა თანასწორობას გულისხმობს.

„ფეთოს“ ლიდერი ამბობს, რომ მისი „ჯამაათი“ ისლამის წარმოშობიდან დღემდე ყველა სხვა „ჯამაათთან“ შედარებით აღმატებულია, რადგან ბოლო ჟამის დროს მუსლიმთა რწმენას ისინი პატრონობენ და ისინი გადაარჩენენ. ამის გამო ღვთის ელჩი თოთხმეტი საუკუნით ადრე პერიოდიდან მიესალმება მათ და ხელს გაუწოდებს.

ზ) აღნიშნული დაჯგუფება ცდილობს ყველა მისი წევრის პირადი თუ საზოგადო ურთიერთობები, ბავშვების განათლება, ბიზნეს

დაჯგუფება თავაზიანობის ნიღაბსაა ამოფარებული და სინამდვილეში მათი ლიდერი სიამაყითაა შეპყრობილი, ხოლო წევრები სხვა მუსლიმებს და სასულიერო სკოლებს უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებენ. ლიდერთან ერთად მთელი დაჯგუფების სტილი ამგვარ „კოლექტიურ სიამაყეში“ ვლინდება. ისინი არღვევენ პრინციპს, რომელიც მორწმუნეთა თანასწორობას გულისხმობს.

საქმიანობა და სხვა თავად გააკონტროლოს. ამ პროცესში მრავალი მეთოდის გამოყენება ხდება, მათ შორის „ტვინის გამორეცხვის“ მეთოდიც. ძალადობა, ზეწოლა, თბილი დამოკიდებულება, ჰიპნოზი, გონების აღრევა და სხვა მეთოდები დაჯგუფებისადმი უსიტყვოდ მორჩილ წევრებს აყალიბებს, რომლებიც სხვა მუსლიმებს არასათანადოდ აფასებენ.

თ) „ფეთო“ თავის ორგანიზაციაში გაწევრიანებულ ადამიანებს ახალგაზრდობიდანვე ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ ამყოფებდნენ და მათი ინდივიდუალიზმის ჩაკვლას ცდილობდნენ. სასულიერო სასწავლებლებში რელიგიური განათლების მიღების მიზნით წასული ბავშვები ამ ორგანიზაციის სკოლებში იწყებდნენ სწავლას. ისინი შორდებოდნენ მშობლებს, შეჩვეულ გარემოს, ნათესავებს, შემდეგ ქვეყანასა და პატრიოტულ გრძნობებს, ბოლოს კი ისლამური თემისათვის დამახასიათებელ საერთო რწმენასაც კი. პიროვნების იდენტობის გააზრებისათვის აუცილებელი კავშირების გაწყვეტის შემდეგ ეს ახალგაზრდები დაჯგუფების ლიდერისადმი უსიტყვო მორჩილების მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. დაჯგუფების წევრი ახალგაზრდებისათვის ოჯახები და ნათესავები მოწინააღმდეგე

დაჯგუფების ახალგაზრდა წევრებს, რომლებიც „დატყვევებულ“ მდგომარეობაში არიან, თავიანთ ოჯახებს კონკურენტებად, ხელისშემშლელ ფაქტორებად და უფრო მეტიც, მტრებად წარმოუჩენენ ხოლმე. მათ აიძულებენ ნათესავური კავშირები გაწყვიტონ.

მხარედაა განხილული და მათთან კავშირი გაწყვეტილია.

დაჯგუფების ლიდერი თავის გამოსვლაში ამბობდა, რომ ღვთისა და მისი ელჩის მიმდევარი ახალგაზრდა ვალდებულია ამ გზაზე მშობლებსა და ნათესავებს არ დაემორჩილოს თუ ისინი მათ წინააღმდეგ წავლენ. დაჯგუფების ლიდერმა მუჯადელეს სურას 22-ე აიათი გამოიყენა და ახალგაზრდებს მოუწოდა, რომ ამ გზაზე მშობლებსა და ახლო ნათესავებს არ უნდა მოუსმინონ.

ვის და რის ექსპუატაციას ეწეოდა „ფეთო“?

ისლამის მიხედვით მოწოდება ღვთისა და მისი ელჩის წმინდა გზაზე შეიძლება მხოლოდ. ღვთის სახელის ანგარებით გამოყენება და რელიგიური მოტივების მეშვეობით სასურველი მიზნის მიღწევის მცდელობა რელიგიისადმი უდიდესი უპატივცემულობაა. რელიგიური ექსპლუატაცია ყოველმხრივ მიუღებელი ქმედებაა, რადგან ის ისლამის ღირებულებებს და მუსლიმებს მოტყუებულ პოზიციაში ამყოფებს. ისლამის მიხედვით ადამიანის გონების, თავისუფალი ნებისა და დამოუკიდებლობის შეზღუდვა კატეგორიულად დაუშვებელია. ასევე, მატერიალური შესაძლებლობების, დროის,

ენერგიისა და სხვა უნარების ანგარების გზით გამოყენებაც მიუღებელია.

„ფეთომ“ ყველა ეს პრინციპი დაარღვია და ისლამის ისტორიაში უდიდესი დაჯგუფება ჩამოაყალიბა, რომელიც ადამიანთა რელიგიურ ექსპუატაციას ეწეოდა. ჩვენ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ის ღრეჩულებები, რომლებსაც ზიანი მიადგა:

ა. ღვთის სახელები და თვისებები

ამ დაჯგუფების წევრებს სჯეროდათ, რომ მათი ლიდერი ღმერთს პირდაპირ ელაპარაკებოდა, ამიტომ მისი სიტყვა სხვა ადამიანების სიტყვაზე უპირატესად მიაჩნდათ. 1991 წლის 7 აპრილს კარტალში გამოსვლისას დაჯგუფების ლიდერმა ღმერთთან და მის ელჩთან განსაკუთრებული სიახლოვის შესახებ განაცხადა. ის პირდაპირ ამტკიცებდა, რომ გამჩენთან და მის ელჩთან იმაზე უფრო ახლო ურთიერთობა ჰქონდა, ვიდრე სხვა ადამიანებს. ყურანში ცნობილია, რომ ღმერთი მხოლოდ და მხოლოდ გამორჩეულ ელჩებს ესაუბრებოდა. სხვა ადამიანებთან მისი პირდაპირი დიალოგის შესაძლებლობა და ამის გაცხადება დაუშვებელია.

ბ. ყურანის აიათები და ჰადისები

1990 წლის 3 მაისს დაჯგუფების ლიდერი ერზრუმში ქადაგების დროს იმდენად შევიდა როლში, რომ ყურანი ხალხისკენ ისროლა და

თან მოუწოდა: „ყურანს უპატრონეთ! ელჩს უპატრონეთ!“.

1991 წლის 31 მარტს ფენდიკში ქადაგებისას ის ღვთის ელჩისა და მისი თანამედროვე მეგობრების სიწმინდეზე საუბრობს. ამის შემდეგ მან ისაუბრა სხვა „წმინდა ჯგუფზე“, რომელიც ბოლო ჟამს გამოჩნდებოდა. ის თავის დაქვემდებარებაში არსებულ დაჯგუფებას გულისხმობდა და აცხადებდა, რომ ისინი ღვთის წინაშე შაჰიდები იყვნენ. ამის დასამტკიცებლად კი სურა რადის 43-ე აიათი წაიკითხა:

„და გეუბნებიან, რომელთაც უარყვეს: „შენ არა ხარ შუამავალი.“ უთხარი: მოწმედ ალლაჰი კმარა ჩემსა და თქვენს შორის, და ვისთანაც წიგნის ცოდნაა.“

დაჯგუფების ლიდერი ასევე შეუფერებელ განმარტებას აკეთებს იესოს დედის, მარიამის შესახებ. მან განაცხადა, რომ სული, რომელიც მარიამს გამოეცხადა მუჰამმედი უნდა ყოფილიყო. წარმოგიდგენთ აიათს:

„შემდეგ დაიდგინა მათგან გამყოფი ფარდა. მაშინ ჩვენ წარვგზავნეთ მასთან ჩვენი სული , რომელიც მის წინაშე სრულყოფილი კაცის იერით წარსდგა.

ისლამის სწავლულები ერთხმად განმარტავენ, რომ აიათში ნახსენები სული მთავარანგელოზი ჯებრაილი იყო. ალი იმრანის სურას 45-ე აიათში ეს დადასტურებულად განმარტებულია, სადაც

ვკითხულობთ, რომ ეს სული ჯებრაილი იყო, რომელმაც მარიამს მოსალოდნელი შვილის დაბადება ახარა.

გ. შუამავლის ჰადისებისა და მისი სულიერების შესახებ

დაჯგუფების ლიდერი ხშირად ღვთის ელჩსა და მის ავტორიტეტს იყენებდა და ხალხს სათავისოდ მოძღვრავდა. მან თქვა, რომ შუამავალი იზმირში ჩავიდა და მლოცველებს შორის დადიოდა.

მაგალითად, 1979 წლის 9 ივლისის ქადაგებაში ის ამბობს, რომ მუჰამმედი მეჩეთში მოდის, იქ მლოცველ ახალგაზრდებს უყურებს, მოხუცებს მზრუნველობით აკვირდება და მლოცველთა რაოდენობას ამოწმებს.

ის ასევე აცხადებდა, რომ ხშირად ხვდებოდა ღვთის ელჩს, ესაუბრებოდა და მისგან დავალებებს იღებდა. გარდა ამისა, ქადაგების დროს არასანდო ჰადისებსაც კი იყენებდა. ის იმდენად შორს წავიდა, რომ ასეთი რამ განაცხადა: „ღმერთი დამელაპარაკა და მითხრა: „მართალია მე სამყარო მუჰამმედის ხათრით გავაჩინე, მაგრამ შენი ხათრით მის არსებობას ვაგრძელებ“.

ღვთის ელჩის მიმართ უპატივცემულობის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი აღნიშნული დაჯგუფების მფლობელობაში არსებულ ტელევიზიაში გასული სერიალია,

სადაც ღვთის ელჩი სიმბოლურად ნათელის სახითაა ნაჩვენები, არადა მუჰამმედის ჩვენება, არც სურათით, არც მინიატურით ან მისი მიმანიშნებელი რაიმე სხვა მეთოდით მისაღები არ არის. აღნიშნული სცენა სამართლებრივადაც და მორალურადაც მიუღებელია.

დ. მუჰამმედის მეგობრების ცხოვრების შესახებ ამბები

დაჯგუფების ლიდერი თავის გამოსვლებსა და ქადაგებებში ხშირად საუბრობდა მუჰამმედისა და მისი მეგობრების ცხოვრების შესახებ. ასევე ის ღვთის ელჩისა და მისი მეგობრების ურთიერთობას ხშირად ადარებდა მასა და მისი დაჯგუფების წევრებს შორის ურთიერთობას.

ის აცხადებდა, რომ ის და მისი დაჯგუფება რჩეული იყო და მუჰამმედს ერთი ხელი მის თანამედროვე მეგობრებისკენ, ხოლო მეორე ხელი დაჯგუფების წევრებისკენ ჰქონდა გაწოდებული.

ე. ღვთისმსახურების შესახებ

ღვთისმსახურება ისლამის მნიშვნელოვანი სიმბოლოა. ეს ორგანიზაცია ღვთისმსახურების შინაარსსა და შესრულების ფორმებს თვითნებურად ცვლიდა. მაგალითად, დაჯგუფების წევრებს შორის გავრცელებულია გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ხუთჯერადი ნამაზის ერთად,

ერთიმეორის მიყოლებით აღსრულებაა შესაძლებელი. ასევე გასცეს ნებართვა, რომლის მიხედვითაც რამადანის თვეში არსებული სავალდებულო მარხვის შესრულება სხვა, უფრო „შესაფერის“ დროს შეიძლება. გარდა ამისა ეჭვს ქვეშ დააყენეს ჰიჯაბის ტარების აუცილებლობა.

ისინი ჩვენი ხალხის ზექათს, მოწყალებასა და შეწირულ მსხვერპლს იპარავდნენ. მათ შექმნეს საქველმოქმედო ფონდები, რომელთა მეშვეობითაც თითქოსდა ხალხს ეხმარებოდნენ. ისინი კრებდნენ ფულს და ამბობდნენ, რომ მსხვეპლი უნდა შეეწირათ, მაგრამ ამ ფულით დაჯგუფების ფინანსურ გაძლიერებას ცდილობდნენ.

დაჯგუფების წევრები ზოგი ნებაყოფილობით, ზოგიც კი ზეწოლის შედეგად საერთო ბიუჯეტისათვის ფულს იხდიდნენ. ზექათის ამგვარი მეთოდებით აღება ცალკე სამსჯელო საკითხია, მაგრამ მოგროვებული ზექათის არამართებულად დახარჯვა დიდი გადაცდომაა. მოკრებილი ზექათის შედეგად დაგროვებული თანხები ისე კი არ იხარჯებოდა, როგორც ყურანშია მოწოდებული, არამედ დაჯგუფების მიზნების მიღწევას ხმარდებოდა. ფინანსდებოდა სატელევიზიო პროგრამები, სხვადასხვა ქვეყნებში ლობისტური საქმიანობები, წინასაარჩევნო კამპანიები, დელეგაციების მიღებისა და წარგზავნის ხარჯები,

შეკრებები, ექსკურსიები და სხვა მსგავსი. ასევე ცნობილია, რომ ღარიბებისა და მოსწავლეებისთვის შეკრებილი დახმარებებიც ყოველთვის ადრესატებამდე არ აღწევდა.

ვ. ისლამის ტერმინები

ამ დაჯგუფებამ ისლამის კულტურისა და ტრადიციებისთვის დამახასიათებელი ტერმინები თავიანთი მიზნების მისაღწევად გამოიყენა. ასეთი ტერმინებია: იმამი, მოძღვარი, ჯამაათი, მსახურება და სხვა. აღნიშნული ტერმინები დაჯგუფების იერარქიულ სტრუქტურებში ხშირად გამოიყენებოდა. დროთა განმავლობაში ამ ტერმინების ტრადიციულმა მნიშვნელობამ კლება დაიწყო და ამის კვალდაკვალ დაჯგუფების წევრებს შორის გავრცელებული ჩარჩოების შიგნით აღმოჩნდა. საბოლოო ჯამში ამ ტერმინებმა საზოგადოების თვალში თავდაპირველი მნიშვნელობა დაკარგა.

ზ. ლოცვა და წყევლა

დაჯგუფების წევრებს სჯერათ, რომ მათი ლიდერის დალოცვა წმინდაა, ხოლო დაწყევლა- ძალიან საშიში. 17 დეკემბრის მოვლენების შემდეგ დაჯგუფების ლიდერმა და წევრებმა კოლექტიურად წყევლის მთელი სეანსები წარმოადგინეს და მუსლიმები დაწყევლეს.

ამ დაჯგუფებამ
ბევრი ისეთი
ტერმინი
გამოიყენა,
რომლებსაც
ისლამური
თემი დიდ
პატივს სცემს.
იმამი, მოძღვარი,
მსახურება,
ჯამაათი და
სხვა
მსგავსი
ტერმინები
ანგარების
მიზნით
იქნა
გამოყენებული.

როდესაც მექელმა ურწმუნოებმა მუსლიმები უკიდურესად შეავიწროვეს, მუსლიმებმა მუჰამმედს სთხოვეს, რომ ურწმუნოები დაეწყევლა. მუჰამმედმა მათ უთხრა, რომ ის წყალობისთვის იყო მოვლინებული და არა წყევლისთვის. ამასთანავე, როდესაც მუჰამმედი ისლამისკენ მოწოდების მიზნით ტაიფში ჩავიდა, იქაურმა მოსახლეობამ დასცინა და ძალიან აგრესიულად მოექცა. მას იმ კრიტიკულ მომენტშიც კი არ დაუწყევლია ისინი. პირიქით, ის მათთვის გონების განათებასა და გადარჩენას ღმერთს ევედრებოდა. მუჰამმედმა თანამორწმუნე ძმების დაწყევლა აკრძალა და შესაბამისად ასე მასიურად წყევლის დემონსტრირება მიუღებელია.

თ. ახალგაზდების ენერგია და თავდადება

ეს ორგანიზაცია ჩვენს ქვეყანაში და ასევე მთელ ისლამურ სამყაროში ნიჭიერ ახალგაზრდებზე ნადირობდა, თავის რიგებში იღებდა და მათ მოტივაციას, რწმენას, მონდომებას და იდეალებს თავის ჩარჩოებში აქცევდა. დაჯგუფების მოწონავე ლიდერები ახალგაზრდებს „ტვინს ურეცხავდნენ“ და მიზანმიმართული პროპაგანდის წყალობით გავლენის ქვეშ აქცევდნენ.

ქადაგებებითა და დამოძღვრით მრავალი ახალგაზრდა აიყოლიეს და როცა მათ ეგონათ, რომ რელიგიურ საქმიანობას ეწეოდნენ და ამ მიმართულებით ვითარდებოდნენ, ისინი მოღალატეობრივი განზრახვის თანამონაწილენი გახდნენ. ამ დაჯგუფებამ ანატოლიის გონიერი და გულანთებული ახალგაზრდები თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია და ძალადობრივი მიზნების განხორციელებისთვის გამოიყენა.

დაჯგუფების ლიდერის ისლამთან შეუსაბამო გამონათქვამები

დაჯგუფების ლიდერი ხშირად ისეთ რამეებს ამბობს, რაც ისლამის პრინციპებისთვის შესაბამისობაში არ მოდის. მრავალი მისი სიტყვა, გამოთქმული აზრი თუ შეხედულება ისლამის რწმენის, ღვთისმსახურებისა და მორალის პრინციპებს არ ემთხვევა. ერთ-ერთ გამოსვლაში მან თქვა, რომ ელექტროენერგიისა და წყლის უკანონოდ მიერთება და მოპარვა მიუღებელია და ამის ჩამდენმა 60 მილიონ ადამიანს პატიება უნდა სთხოვოს, მაგრამ ამავდროულად მან დაუშვა საგამოცდო საკითხების მოპარვა, რომელიც არამარტო ახლა მცხოვრებ ადამიანებს, არამედ მომავალი თაობის მომავალს ხელყოფდა.

აქვე წარმოგიდგენთ სხვა შეუსაბამო შეხედულებებს:

ა. იმის გაცხადება, რომ ღმერთის დედამიწაზე ხილვა შესაძლებელია

ის აცხადებდა, რომ თითქმის ყოველდღე ღმერთთან საუბრობდა, რაც მისი ავადმყოფური გონების გამოვლინებაა. ყურანში ნაბრძანებია, რომ ღმერთი ადამიანებს მხოლოდ „ელჩების“ საშუალებით ესაუბრება. ღმერთის ადამიანებთან კომუნიკაცია ღვთიური გზავნილის საშუალებით ხდება. მისი უკანასკნელი გზავნილი მუჰამმედს ეგლინებოდა. ილამის ელჩის შემდეგ სხვა ელჩი აღარ მოვა. შესაბამისად არავის აქვს უფლება განაცხადოს, რომ ღმერთთან საუბრობს ან მისი დანახვა შეძლო.

ბ. შუამავალთან სისტემატიური ურთიერთობის განაცხადი

„მეჩეთში შევდიოდით, სადაც ნამაზს ვლოცულობდით ხოლმე. ხალხი შეგნით მიიწევდა. მეც შიგნით შევდიოდი. როცა კიბეებზე ავდიოდი, თქვეს, რომ მუჰამმედი ჩვენს მეჩეთში მოვიდა. ის მეჩეთის მიჰრაბს უახლოვდებოდა. შემდეგ მეჩეთის იმამს უთხრა ქადაგება წაეკითხა. იმამმა მორიდებით შეჰკადრა, სადაც შენ ხარ იქ როგორ შეიძლება მე რამე ვთქვა... ის მიჰრაბის წინ ჩამოჯდა. ხალხი მღელვარებამ მოიცვა“.

დაჯგუფების ლიდერი ამტკიცებდა, რომ სიზმარშიც და ცხადშიც მუჰამმედს

სისტემატიურად ხვდებოდა და ესაუბრებოდა და ის ბრძანებები და მითითებები, რომლებსაც ის თავის ქვეშემრდომებს აცნობდა, პირდაპირ მუჰამმედისგან მოდიოდა. ცხადია ეს ყველაფერი ღვთის ელჩის ავტორიტეტის არამართებული გამოყენების მცდელობა იყო.

გ. ანგელოზებთან და ჯინებთან შეხვედრა

„რომ გითხრათ, რომ მე ყოველდღე ერთ ჯინს ვესაუბრები, ტყუილი არ იქნება. თქვენს შორის არის ასეთი. ბევრი ადამიანი ანგელოზებს ესაუბრება მეთქი თუ ვიტყვი, არც ეს იქნება ტყუილი“...

უხილავი სამყაროს ხილვის განაცხადი ადამიანების შეშინებას და მათი გაკონტროლების მცდელობაა. აღნიშნულ მეთოდს არამარტო დაჯგუფების ლიდერი, არამედ სხვა წევრებიც მიმართავდნენ.

დ. წარსულში მცხოვრები სწავლულების ხილვის განაცხადი

„ამბავს მოგიყვებით. ასეთი რამის მოყოლა მეჩეთის „ქურსიდან“ ადრე არ მიფიქრია, მაგრამ ზეციურ ქებას, მუჰამმედის ქებას ვერ დაგიმალავდით. ჩემმა მეგობრებმა მითხრეს, რომ უნდა წამოხვიდეო და ერთ-ერთი სასწავლებლის ასაშენებლად განკუთვნილი ადგილის სანახავად წამიყვანეს. ქვიანი ადგილი იყო, ბალახმორეული. ბალახიან

მინდორზე რამოდენიმე ადამიანი შევნიშნე. ისხდნენ. მივუახლოვდით. ვკითხე, თუ ვინ იყვნენ ისინი. იქ მყოფთაგან ერთ-ერთი ჰასან ბასრი იყო, მეორე -ნუმან ბ. საბით ებუ ჰანიფე. იქ იყო ჯალალედდინ რუმი. სხვა და სხვა საუკუნეში მოღვაწე დიდი სწავლულები იქ შეკრებილიყვნენ. თქვენი ხელახალი გამოღვიძების მნიშვნელობის გამო იყვნენ შეკრებილი ეს დიდი ადამიანები. ამ მსახურების მნიშვნელობის დადასტურების მიზნით ჰასან ბასრიდან მეგლანამდე, ესოდენ ამაგდარი ადამიანების იქ მოსვლა ძალიან ყურადსაღები მოვლენაა. ცოტა გამბედაობა მოვიკრიბე და ვკითხე, „ნეტა როგორია ჩვენი მოღვაწეობა?“ ნასან ბასრიმ თქვა: „თქვენი მოღვაწეობა ისეთია, რომ საჰაბეთა მოღვაწეობისგან არ განსხვავდება“.

როგორც ამ ამბიდანაც ცხადი გახდა, დაჯგუფების ლიდერი ჩვენი ხალხის ისლამის სწავლულების მიმართ პატივისცემას ანგარებისათვის იყენებს და ამტკიცებს, რომ ის როგორც სიზმარში, ისე ცხადშიც ხვდებოდა მათ. ამით ის ამტკიცებდა, რომ მის მიერ შექმნილი ორგანიზაციის საქმიანობას წარსულში მოღვაწე დიდი პიროვნებებიც მხარს უჭერდნენ.

ე. უხილავის შესახებ ინფორმაციაზე წვდომის განაცხადი

„წელს ჰაჯის შესრულების მიზნით მექაში წავედი. არაფატზე მეძინა, როდესაც ცოდან

გარეგნულად რელიგიური
განათლების ფარდას
ამოფარებული ეს დაჯგუფება,
ანგარების მიზნით, არამარტო
თურქეთის, არამედ შუა აზიისა
და აფრიკის ქვეყნების ჩათვლით
მრავალ ადგილას რელიგიურ
ექსპლუატაციას ახორციელებდა.

ორი მწვანესამოსიანი ადამიანი ჩამოვიდა. ისინი ერთმანეთს შორის საუბრობდნენ. მათ საუბარს მოვუსმინე. ერთმა კითხა მეორეს -„წელს ჰაჯზე რამდენი მომლოცველი მოვიდა?“ „600 000“ - უპასუხა მეორემ. „ამათგან ღვთის წინაშე რამდენი მომლოცველის ჰაჯია მიღებული?“ ისევ იკითხა პირველმა. „მხოლოდ ექვსი ადამიანი ჰაჯია მიღებული“. - უპასუხა მეორემ“.

დაჯგუფების ლიდერი პირდაპირ მიანიშნებს, რომ მას უხილავ მოვლენებზე წვდომა გააჩნია. არადა ყურანში ნაბრძანებია, რომ უხილავის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ ღმერთმა უწყის. (იხ. ენამ 6/59; ჰუდ 11/123). ღმერთმა ამგვარი პრივილეგია მხოლოდ ღვთით წარმოგზავნილ ელჩებს უწყალობა.

ვ. სიზმრებზე დაყრდნობით შექმნილი ყალბი ამბები

„მაგალითად, ზოგიერთი ადამიანი მომავალ წარმატებას წინასწარ ნახულობს სიზმარში. ზოგი მათგანი მოსალოდნელი გამოცდის კითხვებსაც კი ნახულობს“.

„მე ვიცი ადამიანები, რომლებიც სიზმრად შუამავალს ნახულობენ. ამ სიზმრებში შუამავალი ამ ადამიანებს ხელს უწოდებს და ეფერება“.

„1978 წელი იყო. ბევრი გასარეცხი ტანსაცმელი დამიგროვდა. საღამოს ვრეცხავდი და ძალიან დავიღალე. ამ დროს მომივიდა აზრი, რომ იქნებ ჯობდა

დავქორწინებულიყავი. ეს აზრი ძალიან მკაფიოდ შემომიჩნდა. მეორე დღეს ერთი მეგობარი მოვიდა და იმ ღამით ნანახი სიზმარი მიამბო. სიზმარში მუჰამმედი გამოეცხადა და ჩემს შესახებ უთხრა, რომ თუ დავქორწინდებოდი, იმავე დღეს მოვკვდებოდი და ის ჩემს გასვენებაშიც კი არ მოვიდოდა. ეს სიზმარი იყო. სიზმრის მიხედვით მოქცევა სწორი არ იყო ვიცოდი, მაგრამ ეს ნიშნად მივიღე და ამ ნიშნის პატივისცემა ვცადე".

როგორც ამ ყველაფრიდან ჩანს, დაჯგუფების ლიდერი უმეტესწილად ეყრდნობა არა წმინდა წყაროებს, არამედ სიზმრებს, მოგონილ ამბებს და უსაფუძვლო წარმოსახვებს, რომელთა დამტკიცება შეუძლებელია. ის ატყუებდა მიამიტ ადამიანებს და მათ გულმოდგინებას ბოროტად იყენებდა. ის ამტკიცებდა, რომ თავის სიტყვებსა თუ ქმედებებს შუამავალთან ათანხმებდა.

ისლამის მიხედვით სიზმრები, რომლებიც ყურანისა და სუნას მოძღვრებას ეწინააღმდეგება, სრულიად უსარგებლოა, ხოლო ისინი, რომლებიც ყურანსა და სუნას მოძღვრებას არ ეწინააღმდეგება, ჩვეულებრივ უნდა მივიღოთ და მათზე სპეციფიკური დამოკიდებულება მიუღებელია. შეიძლება სიზმარმა ადამიანში დადებითი ეფექტი მოახდინოს, მაგრამ ის რაიმე მნიშვნელოვანი

გადაწყვეტილების საფუძველი ვერ გახდება. თუ ადამიანი ისეთ სიზმარს ყვება, რომელიც არ დასიზმრებია, ეს, როგორც შეამავალი ბრძანებდა, ყველაზე დიდი ტყუილია.

6. რელიგიათაშორისი დიალოგის პროექტი

„ჯვაროსნების მიერ ჩვენი ქვეყნის დაკავება ძალიან საშიში არ არის, რადგან თქვენსა და მათ შორის წითელი ხაზებია. ისინი ჩვენს ოჯახებს არ შეეხებიან, არ შეხებიან“.

დასავლური საზოგადოების ყურადღებისა და მხარდაჭერის მოსაპოვებლად „ფეთო“ თავისებურ მიდგომებს აყალიბებდა. საამისოდ კი რელიგიათა შორის დიალოგის პროექტის განხორციელებას ცდილობდა. ამგვარი მიდგომა მუსლიმთა წინააღმდეგ იყო მიმართული და საერთაშორისო პროექტის ნაწილს წარმოადგენდა. დაჯგუფების იდეოლოგია წლების მანძილზე სხვა რელიგიების დადებითად წარმოჩენას ცდილობდა და ამის პარალელურად ისლამის პრინციპების ხელყოფა ხდებოდა, რისი მიზანიც ანგარება იყო. მათი განაცხადის მიხედვით ისლამის რწმენის ფორმულა, რომელიც შაჰადას სახელითაა ცნობილი, ნახევარი ფორმითაც მისაღებია, ანუ თუ ადამიანი შაჰადას პირველ ნაწილს წარმოთქვამს ის შეიძლება სამოთხეში მოხვდეს. აღნიშნული შეხედულება სწორედ

რელიგიათაშორისი დიალოგის პროდუქტია, რომლის მიხედვითაც რწმენის ფორმულის წინა ნაწილი საკმარისია და ფრაზა „მუჰამმედი მისი წარმოგზავნილი მსახური და ელჩია“ აუცილებელი არ არის.

„ფეთოს“ ლიდერი ერთ-ერთ გამოსვლაში ამბობს, რომ თუ მასთან ვინმე ქრისტიანი მივა და ეტყვის რომ ქრისტიანობაში შვება ვერ ჰპოვა და ისლამის აღიარება სურს, ის ეტყვის, რომ წავიდეს და კიდევ ერთხელ კარგად გაიაზროს, ეძიოს და ისე მოვიდეს. აღნიშნული დამოკიდებულება ქრისტიანული ძალების მიმართ მაამებლობის გამოვლინებაა.

უეჭველია, რომ ღვთის წინაშე ჭეშმარიტი სარწმუნოება ისლამია. ისლამის პრინციპების გათვალისწინებით სხვა რელიგიებთან მშვიდობიანი თანაცხოვრება შესაძლებელი და მისასალმებელია. თუმცა ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რელიგიათა შორის დიალოგის ეგიდით წამოწყებული კამპანიის ფარგლებში იმის მცდელობა, რომ ყველა სარწმუნოება ერთ იდეოლოგიაზე მოექცეს, წარმოუდგენელი და მიუღებელია.

აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ამ დაჯგუფების წევრები რელიგიათა შორის დიალოგის კვალდაკვალ სხვა სარწმუნოების მიმდევრებს უფრო თბილად უყურებდნენ, ვიდრე იმ თანამორწმუნე ძმებს, რომლებიც მათ რიგებში არ შედიოდნენ.

ეს ორგანიზაცია ახერხებდა და სხვა რელიგიების წარმომადგენლებთან მუდმივად თბილი ურთიერთობა ჰქონდა, ხოლო მათი დაჯგუფების მიღმა მყოფ მუსლიმებს იმდენად არ სწყალობდა.

როგორ უნდა ვებრძოლოთ მსგავს დაჯგუფებებს?

- 15 ივლისის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობამ ნათლად აჩვენა, რომ არავითარ ძალას არ ძალუძს აჯობოს ღვთისა და სამშობლოს მოყვარულ, გულანთებულ ადამიანებს. ყველა ის ადამიანი და მათი მცდელობა დაასამაროს სახელმწიფოებრიობა და ჩვენი სარწმუნოება, აუცილებლად გაწბილდება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ღმერთი მუდმივად ჩვენთანაა.
- ეს მწარე გაკვეთილი საკმარისია საიმისოდ, რომ არარ დავუშვათ მსგავსი სახის დაჯგუფებების აღმოცენება, რომლებსაც ანგარების მიზნით შეუძლიათ ესოდენ დიდი ზიანი მოუტანოს სახელმწიფოს. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ერთიანობა და ასე ერთ მუშტად შეკრული წინ აღვუდგეთ მსგავს მცდელობებს. მადლობა შევწიროთ უზენაესს, რადგან მან შეგვიბრალა და ესოდენ დიდ

უბედურებას გადაგვარჩინა. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ღვთისადმი რწმენა და მეორეს მხრივ არ დავუშვათ ჩვენი ერთიანობისა და მთლიანობის დარღვევის ნებისმიერი მცდელობა.

- ჩვენს სარწმუნოებას გააჩნია წმინდა წიგნი, რომლის „ერთ ასოც კი არ შეცვლილა“. ეს წიგნი ყურანია. ყურანი ღვთით მოვლენილი უკანასკნელი გზავნილია და მის შემდეგ ღვთიური გზავნილი აღარ მოვა. ამ სარწმუნოებას ჰყავს საუკეთესო მაგალითად წოდებული ელჩი. მის გარდა სხვა ნებისმიერი ადამიანის მიერ იმის მტკიცება,რომ რჩეულია და უცოდველი, კატეგორიულად მიუღებელია. ღმერთმა გვიწყალობა გონება და გული. ჩვენ გვაქვს 14 საუკუნოვანი რწმენის გამოცდილება, რომელიც ისლამის უცვლელი პრინციპების ერთიან ხაზს მიუყვება. ადამიანის მიერ ამ ყველაფრის უგულებელყოფა და საკუთარი თავისუფალი ნებისა და სინდისის სხვა პიროვნებაზე ან ადამიანთა ჯგუფზე დაქვემდებარება დაუშვებელი და მიუღებელია.
- ისლამი არის სარწმუნოება, რომელიც მორწმუნეებს ფიქრის, აზროვნების, განჭვრეტისა და გააზრებული გადაწყვეტილებების მიღებისკენ

მოუწოდებს. არასოდეს დავივიწყოთ, რომ ბრმად და გაუაზრებლად არანაირი იდეოლოგიის გავლენის ქვეშ არ უნდა მოვექცეთ და ისლამის ეს პრინციპები მუდმივად გვახსოვდეს.

- ისლამის ძირითადი მიმართულება ზომიერების პრინციპზეა აგებული და ამ პროცესში ჩვენი სააზროვნო არეალი და ტრადიცია ზნეობას, მოკრძალებას, განათლებასა და სიბრძნეს ეფუძნება. ყურანისა და სუნას მოძღვრების ფარგლებში არსებული ყველა რელიგიური და სამეცნიერო საქმიანობა სიმდიდრეა და მისასალმებელია. ისლამის პრინციპებისა და რელიგიური საკითხების განგებ გასაიდუმლოებულად წარმოჩენა, ხშირ შემთხვევაში, ადამიანთა რელიგიური გრძნობების ექსპლუატაციას ისახავს მიზნად, რისი საშუალებაც არაფის უნდა მივცეთ. სიზმრებითა და მოგონილი ზეშთაგონებით რელიგიის დაზიანების მცდელობას ჩვენი გონიერება და მყარი რწმენა უნდა დაუპირისპიროთ.
- სარწმუნოება გულწრფელობაა. გულწრფელობა კი მოითხოვს, რომ ჩვენი ნებისმიერი ქმედება ანგარებისგან დაცლილი უნდა იყოს და მხოლოდ და მხოლოდ ღვთის კმაყოფილების მოპოვებას უნდა ემსახურებოდეს. უნდა

ვიცოდეთ, რომ ზოგიერთი პიროვნების ან ჯგუფის გამორჩეულობა და სხვა მუსლიმებთან შედარებით მაღალ საფეხურზე აყვანის მცდელობა მცდარი ნაბიჯია. უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა მუსლიმი ერთმანეთის ძმაა.

- ნებისმიერი სამსახურისა თუ საქმიანობის დროს პატიოსნება, სამართლიანობა და სანდოობა უნდა გვახასიათებდეს. ეს უნდა იყოს ჩვენი ქცევის ძირითადი საფუძველი. არ უნდა დავუშვათ კორუფცია და ნეპოტიზმი, რაც უეჭველი სხვათა უფლებების დარღვევაა. დაუშვებელია ისეთი არალეგიტიმური მეთოდების გამოყენება, როგორიცაა შანტაჟი, პლაგიატობა, საგამოცდო საკითხების უკანონოდ მოპოვება, მუქარა, ძალადობა და სხვა მსგავსი.
- ჩვენ მხოლოდ ტრადიციული, ჭეშმარიტებაზე დამყარებული რელიგიური სწავლების მეშვეობით შევძლებთ წინ აღვუდგეთ ისეთი ჯგუფების გაჩენასა და განვითარებას, რომლებიც შემდგომში რელიგიურ ექსპლუატაციას გამოიწვევენ. ჩვენ ადამიანებს მხოლოდ ყურანსა და სუნაზე დაფუძნებული რელიგიური სწავლება უნდა შევთავაზოთ. ეს პროცესი ხანგრძლივ და გეგმაზომიერ

ნაბიჯებს მოითხოვს. ჩვენ უნდა აღვზარდოთ ისეთი თაობა, რომელიც ყურანისა და სუნას გზით იცლის და ყოველთვის თავს აარიდებს ზღვარსგადასულობას.

- რელიგიური ექსპლუატაციის შემოქმედი დაჯგუფებები თავიანთ რიგებში არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილ, თავისუფალი აზრისა და ნების არმქონე მასებს ქმნიან. ჩვენ სკოლამდელი ასაკიდან დაწყებული შვილების სწორ განათლებას უნდა მივხედოთ, რათა ისინი ჭეშმარიტ მორწმუნეებად, გულანთებულ მამულიშვილებად და სანდო ადამიანებად აღიზარდონ. ყურადღება მივაქციოთ სად ატარებენ ისინი თავისუფალ დროს, ვისთან მეგობრობენ, ვისთან აქვთ კომუნიკაცია და სხვა. ბავშვები არ უნდა დავტოვოთ სიყვარულისა და მზრუნველობის გარეშე, რათა ისინი ამგვარი დაჯგუფებების მხრიდან მოტყუების პოტენციური ობიექტები არ გახდნენ.
- ყველა მუსლიმის ვალია სხვა რელიგიის მიმდევართა მიმართ მშვიდობიანი და სამართლიანი იყოს, თუმცა ამ პროცესში ისლამისა და სხვა რომელიმე რელიგიის „ერთ ქვაბში მოხარშვა“ დაუშვებელია. რელიგიათა შორის

დიალოგის ეგიდით ამგვარი მცდლობა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური და იდეოლოგიური ხაფანგია. ყველა რელიგიის წარმომადგენლებთან მშვიდობიანი თანაცხოვრება საერთოდ არ საჭიროებს რაიმე ფორმით ისლამისა და მისი შუამავლის მიმართ საზიანო იდეოლოგიის გავრცელებას.

- ჩვენ ყველანი ვალდებულნი ვართ წინ აღვუდგეთ რელიგიური ექსპლუატაციის ნებისმიერ გამოვლინებას და ამ გზაზე გულითადი და გააზრებული ნაბიჯებია საჭირო. ჩვენ არც უნდა მოვატყუოთ ვინმე და არც მოტყუებულთა შორის აღმოვჩნდეთ. ჩვენ ყველა, ყველა ადამიანი, რელიგიური საქმიანობით იქნება დაკავებული, განათლების სფეროში მომუშავე თუ სადმე სხვაგან, ყველანი ვალდებულნი ვართ ვიზრუნოთ იმისათვის, რომ სწორად გავიგოთ რელიგია და სწორად ვიცხოვროთ.